

კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ფიზიკაში და მოსწავლეთა
მოტივაცია

თამთა მახათაძე
სოფიო ხარჩილავა
მარიკა გარსევანიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიკა კაპანაძე, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ჩვენი ჯგუფის ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ წარსულში გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის ციტირებული შესაბამისი წესების დაცვით.

თამთა მახათაძე

სოფიო ხარჩილავა

მარიკა გარსევანიშვილი

21.06.2018

აბსტრაქტი

პრაქტიკის კვლევის ანგარიში წარმოდგენილია თემაზე: კვლევაზე დაფუძნებული სწავლება ფიზიკაში და მოსწავლეთა მოტივაცია მე-7 კლასის მაგალითზე. პრაქტიკის კვლევის მიზანი იყო აგვემაღლებინა მოსწავლეთა მოტივაცია და შეგვეცვალა სწავლების მეთოდოლოგია ფიზიკაში. ტრადიციული მიდგომების ნაცვლად მოსწავლეები კვლევასა და ექსპერიმენტზე დაფუძნებითა და აღმოჩენებით სწავლობდნენ სხვადასხვა თემებს.

თემის შერჩევის საფუძველი გახდა სკოლის ბაზაზე ჩატარებული პრობლემის დიაგნოსტიკის ეტაპები. ამისთვის გამოვიყენეთ კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები, კერძოდ: ინტერვიუ სკოლის დირექციასთან, მასწავლებელთან, მოტივაციის კითხვარის შეტანა კლასში და ფოკუს ჯგუფის ჩატარება მოსწავლეებთან. კვლევა მიმდინარეობდა 2018 წლის იანვრიდან 2018 წლის აპრილის ჩათვლით.

ინტერვენციების ჩატარების ეტაპზე გამოვლინდა, რომ კვლევაზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკაში განხორციელება მოითხოვს მზაობას როგორც მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების მხრიდან. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მეთოდოლოგიის არსი და მნიშვნელოვნება კარგად უნდა ესმოდეს მასწავლებელს და შემდეგ სწორად განახორციელოს ის სასწავლო პროცესში. ინტერვენციების ეტაპზე დადებითი ტენდენცია აღინიშნებოდა მოსწავლეთა ჩართულობის კუთხით. ისინი გამუდმებით სვამდნენ კითხვებს და ცდილობდნენ გაკვეთილზე ნასწავლი მასალა დაეკავშირებინათ ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

აღნიშნული პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავუშვათ, რომ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროცესი იწვევს მათ დაინტერესებასა და საგაკვეთილო პროცესში ჩართვას, ეს კი მოსწავლის მოტივაციის ზრდის ერთ-ერთი ინდიკატორია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოსწავლეთა მოტივაცია, კლასის მართვა, მეთოდოლოგია, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები.

Abstract

The report of the action research presented below regards the following topic: research based learning of physics and students' motivation applied on the 7th graders. The action research aimed at increasing the students' motivation and altering teaching methods in physics. Instead of traditional approaches the students explored various types of topics via experiments and discoveries.

The reason for choosing this particular topic was determined by the problem diagnostic stages carried out at school. Both quantitative and qualitative research methods were applied, namely: interviews conducted with school management, a teacher, introducing motivation questionnaire to the class and focus group with students. The research lasted from January 2018 till April 2018.

At the stage of intervention implementation, it was revealed that research based teaching practice necessitates proper preparedness derived from the teacher as well as from the students. We believe, that the idea and importance of the mentioned methodology should be precisely apprehended by the teacher so that it is correctly implemented during the learning process. At the stage of intervention positive tendency was noted in terms of

students' involvement. They constantly asked the questions and tried to connect materials covered at the lesson to everyday life.

On the basis of the mentioned action research we can assume that learning process oriented on students' interests and needs, leads to students' fascination and their involvement in the lesson, which is one of the indicators of enhancing student's motivation.

Key words: Students' motivation, class management, methodology, research based learning, natural sciences

მადლობა

მადლობას ვუხდით ყველა პირს რომელიც აქტიურად იყო ჩართული პრაქტიკის კვლევის განხორციელების ყველა ეტაპზე.

პირველ რიგში, მადლობას ვუხდით ნიუტონის თავისუფალი სკოლის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და დირექტორს ბ-ნ გიორგი მელაძეს და დირექტორის მოადგილეს ქ-ნ თამარ გახოვიძეს, რომელთა მხარდაჭერის გარეშეც ვერ შევძლებდით პრაქტიკის კვლევის განხორციელებას.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს ქ-ნ მარია კაპანაძეს, რომლის აქტიური ჩართულობის დამსახურებით წარმატებით განხორციელდა პრაქტიკის კვლევა.

მადლობას ვუხდით ნიუტონის თავისუფალი სკოლის, ფიზიკის, მასწავლებელს გიორგი ჭანტურიას კვლევაში ჩართულობისა და თანამშრომლობისთვის.